FROM THE HISTORY OF THE OCCUPIED VILLAGES OF SHIDA KARTLI (VILLAGE CORINTH - PAST AND PRESENT)
შიდა ქართლის ოკუპირებული სოფლების ისტორიიდან (სოფელი კორინთა - წარსული და დღევანდელობა)

DAVID AKHLOURI

Doctor of History. Associate Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

Abstract. The paper talks about the historical village of Korinti in the Ksani valley, which is located in the occupied Akhalgori municipality. When researching the issue, we first focus on the historical-geographic environment of the village. The famous historian and geographer Vakhushti Batonishvili konsiders the "Rock of Corinth" to be the dividing line between the mountain and bar regions of the Ksani valley.

Corinth was one of the important crossroads of the villages of the Kartli kingdom, its strategic location in turn contributed to the rise of the feudal Corinthians in the 9th-10th centuries, who founded the village of Sakorintlo (Kaspi municipality) in the 18th century.

Corintha is mentioned in the 1669 deed of Tsilkneli, however, unfortunately, we have no information about the population of the village at that time. It should be noted that Corinth was the native village of the famous playwright and national figure Giorgi Eristavi.

At one time, a palace was built here by Giorgi's grandfather Rostom the son of David Eristavi. The article talks about the Rostomy palace and the relationship of the Giorgi Eristavi family with Corinth, as well as the Eristavi gate church, its treasures, and other architectural monuments in the village.

The main attention is paid to the demographic lists: from the statistical descriptions of the Saeristavo of Ksni in the second half of the 18th century, it can be seen that this village was the name of Abram Tinikashvili of Karchokhi Mouravi, the Mouravi-Tinikashvili who emigrated from the village of Tinikaani settled here, who, in turn, migrated from Khoshara village of Pshavi, in the Ksni valley, and Their last name was Gabidauri.In the censuses of the 18th-19th centuries, Tinikashvili often have their own name Gabidauri, which indicates that they did not forget their original surname and origin.

In the census of 1783, there is one family of Zangurashvili next to Tinikashvili.

By the end of the 18th century, Corintha was included in the list of noble estates of Ioane Batonishvili, which can be seen from the census of Kartl-Kakheti in 1794-1799. According to the

first Russian chamber census of 1804, the lands and serfs of Corinth belonged to the nobles of Ksani, 1 household (the Zangurashvili family) belonged to the Fitkhelauri nobility.

The paper publishes for the first time a large part of the XIX-XX centuries demographic lists about Corinth (cameral and union census data), which allows us to fully present the dynamics of the rural population, the current situation is reviewed, which is due to the severe consequences of the August 2008 war.

The work includes reports of the inhabitants of the village of Corinth about the past of their native village, churches-monasteries and population.

Key words: Ksni Gorge; Karchokhi Samouravo; demographic lists; churches-monasteries; Eristavi serfs; Zemo Alevi community; daily land, foundations.

დავით ახლოური,

ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძისქ., №53,1400, საქართველო,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

აბსტრაქტი. ნაშრომში საუბარია ქსნის ხეობის ისტორიულ სოფელ კორინთის შესახებ, რომელიც ოკუპირებულ ახალგორის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. საკითხის კვლევისას, პირველ რიგში ყურადღებას ვამახვილებთ სოფლის ისტორიულ-გეოგრაფიულ გარემოზე. ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი „კორინთის კლდეს“ ქსნის ხეობის მთისა და ბარის რეგიონების გამყოფად მიიჩნევს. კორინთა ქართლის სამეფოს სოფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაგასაყარი იყო, მისმა სტრატეგიულმა მდებარეობამ თავის მხრივ ხელი შეუწყო IX-X საუკუნეებში ფეოდალური გვარის კორინთელების აღზევებას, რომლებმაც XVIII საუკუნეში დაარსეს სოფელი საკორინთლო (კასპის მუნიციპალიტეტი).

კორინთა იხსენიება წილკნელის 1669 წლის სიგელში, თუმცა სოფლის მაშინდელი მოსახლეობის შესახებ, სამწუხაროდ, ცნობები არ მოგვეპოვება. აღსანიშნავია, რომ კორინთა იყო ცნობილი დრამატურგისა და ეროვნული მოღვაწის გიორგი ერისთავის მშობლიური სოფელი. აქ თავის დროზე სასახლე აუშენებია გიორგის პაპას როსტომ დავითის ძე ერისთავს. ნაშრომში საუბარია როსტომისეულ სასახლეზე და გიორგი ერისთავის ოჯახის კორინთასთან ურთიერთობაზე, ასევე ერისთავების კარის ეკლესიაზე, მის საგანძურზე, სოფელში არსებულ სხვა ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე.

ძირითადი ყურადღება ეთმობა დემოგრაფიულ ნუსხებს: XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობებიდან ჩანს, რომ ეს სოფელი

ქარჩოხის მოურავის აბრამ თინიკაშვილის სახელოს წარმოადგენდა, აქ დამკვიდრდნენ სოფელ თინიკაანიდან გადმოსახლებული მოურავის მოგვარე-თინიკაშვილები, რომლებიც, ქსნის ხეობაში, თავის მხრივ უკანა ფშავის სოფელ ხოშარადან არიან გადმოსულები და გვარად გაბიდაურები იყვნენ. XVIII-XIX საუკუნეების აღწერებში თინიკაშვილებში ხშირად გვხვდება საკუთარი სახელი გაბიდაური, რაც მიგვანიშნებს, რომ ისინი არ ივიწყებდნენ თავდაპირველ გვარსა და წარმომავლობას.

1783 წლის აღწერაში თინიკაშვილების გვერდით ზანგურაშვილების ერთი კომლი გვხვდება.

XVIII საუკუნის ბოლოსთვის კორინთა იოანე ბატონიშვილის სააზნაურო მამულების სიაში შედიოდა, რაც 1794-1799 წლების ქართლ-კახეთის აღწერიდანაც ჩანს. 1804 წლის პირველი რუსული კამერალური აღწერის მიხედვით კი კორინთის მიწები და ყმები ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ, 1 კომლი (ზანგურაშვილების ოჯახი) აზნაურ ფიცხელაურების იყო.

ნაშრომში პირველად ქვეყნდება კორინთის შესახებ არსებული XIX-XX საუკუნეების დემოგრაფიული ხასიათის ნუსხების (კამერალური და საკავშირო აღწერების მონაცემები) დიდი ნაწილი, რაც საშუალებას გვაძლევს სრულყოფილად წარმოვაჩინოთ სოფლის მოსახლეობის დინამიკა, მიმოხილულია დღეს არსებული რთული ვითარება, რაც 2008 წლის აგვისტოს ომის მძიმე შედეგებითაა განპირობებული.

ნაშრომში ჩართულია სოფელ კორინთის მკვიდრთა ცნობები მშობლიური სოფლის წარსულის, ეკლესია-მონასტრებისა და მოსახლეობის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ქსნის ხეობა; ქარჩოხის სამოურავო; დემოგრაფიული ნუსხები; ეკლესია-მონასტრები; ერისთავის ყმები; ზემო ალევის საზოგადოება; დღიური მიწა; ფონდები.

შესავალი

კორინთა ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფელია, მდებარეობს მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 1000 მეტრზე, ახალგორიდან 7 კილომეტრის დაშორებით. იგი იყო სათემო ცენტრი სოფლების: გეზევრეთი, გუდაწვერი, ნახიდი, საძეგური პირველი, ქვემო ალევი, ქურთა, ყოჩიანი, შუა ალევი, წირქოლი, ხერკელაანი **(კორინთა (ქსე), 1980: 674).**

ვახუშტის აღწერით: „ზებეყურის მთა არის თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი. ეს მთა ჩამოადგების ცხვირად კსანს დასავლიდამ და აღმოსავლეთიდამ ალევის მთის ცხვირი, და დაავიწროვებს კსანსა კლდითა. ამ კლდეს ქუეით მტკურამდე კსანი არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ვითარცა სხუანი აღვსწერეთ, და ამ კლდეს ზეით იწრო და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი, ვითარცა სხუანი მთის ალაგნი მოსავალითა, ტყიან-კლდიანობითა" **(ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 360).** კლდე, რომელზეც ვახუშტი საუბრობს,

კორინთის კლდის სახელითაა ცნობილი. ამდენად მას მიიჩნევს ქსნის ხეობის მთისა და ბარის რეგიონების გამყოფად. გ. ჩიტაიას მიხედვით კი „ქსნის ხეობაში მოცემული იყო ბუნებრივ პირობებთან შეფარდებული სამი სახის მეურნეობა: ბარული (ლენინგორამდე - ახალგორი - დ.ა.), მთის ძირის (დაახლოებით ლარგვისამდე) და მთის ზოლისა (ლარგვისს ზევით)" **(ჩიტაია, 1940: 486).** მკვლევარის დაყოფით კორინთას მთის ძირის მეურნეობა შეეფარდება. ამიტომაც მიგვანიშნებდა ლ. გვრიტიშვილი, მაღალ კონცხზე მდებარე სოფელი „ვახუშტისეულ „ვენახოვან, ხილიან, მოსავლიან" და გ. ჩიტაიას მიერ დადგენილ მთის ძირის სამეურნეო ზონაშია მოქცეულიო" **(გვრიტიშვილი, 1997: 147).**

გადმოცემით, სოფლის სახელწოდება დაკავშირებული უნდა იყოს საბერძნეთის კორინთოსთან. 2005 წლის 12 მაისს, ქსნის ხეობის ისტორიის მკვლევარს ვიტალი ქენქაძეს კორინთაში მცხოვრებ ნესტორ ზაქარიას ძე თინიკაშვილისაგან (დაბ., 1925 წელს) ჩაუწერია სოფელთან დაკავშირებული თქმულება: „ეს სოფელი ადრე სხვა სახელის მატარებელი ყოფილა. აქ კორინთოდან მოუვლენიათ მისიონერი ქრისტიანობის გასამტკიცებლად. მოსულა, დასახლებულა, ძალზე მოსწონებია აქაური ზვარი, ბაღი, ბოსტანი და კმაყოფილს უთქვია: ძალიან ჰგავს კორინთოს, სწორედ მეორე კორინთოა. მერე დაერქვა კორინთა." **(ქენქაძე, 2016: 164).** კორინთის სახელწოდებას ანტიკური ხანის ელინურ ტოპონიმ კორინთოს ადარებს ი. მაისურაძეც **(მაისურაძე, 1990: 91).**

კორინთის ძველი მოსახლეობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, სოფლის დემოგრაფიულ და ეკონომიკურ ვითარებაზე საუბარი XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერებიდან შეგვიძლია. ამის შემდეგ გვაქვს უწყვეტი მასალა XIX საუკუნის კამერალური აღწერებისა და XIX საუკუნის საკავშირო აღწერების სახით.

მეთოდები

საკითხის კვლევისას ვიყენებთ თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდებს. ვახდენთ ქსნის ხეობის შესახებ არსებული წყაროებისა თუ სხვა ისტორიული მასალის კრიტიკულ გააზრებას, რომლის დროსაც გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზისა და დაკვირვება-შედარების მეთოდები. ანალიზის მეთოდი საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ კორინთაში საუკუნეების მანძილზე არსებული ისტორიული, ეკონომიკური, დემოგრაფიული და კულტურული ვითარება. დაკვირვება-შედარების მეთოდი გვეხმარება მოვახდინოთ დემოგრაფიული ნუსხების ერთმანეთთან შედარება და განვსაზღვროთ წლების მიხედვით სოფელში არსებული მოსახლეობის შემადგენლობა. ნაშრომის შეჯამება ხდება კვლევის სისტემური ანალიზით.

შედეგები

ქსნის ხეობის სოფლების წარსული დღემდე ჯეროვნად არ არის შესწავლილი, თუმცა ამ მიმართულებით უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, გამოქვეყნდა

რამდენიმე საყურადღებო სტატია, მათ შორის ჩვენს მიერ. შიდა ქართლის ოკუპირებული სოფლების კვლევას მომავალშიც გავაგრძელებთ, მიუხედავად იმისა, რომ ოკუპაციის პირობებში ეს გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ჩემთვის, როგორც ქსნის ხეობის მკვიდრისთვის, მშობლიური და ახლობელია თითოეული სოფელი, სხვადასხვა დროს ფეხით მაქვს მოვლილი იქ მდებარე სალოცავები, ციხე-კოშკები, შესწავლილი მაქვს მოსახლეობის რელიგიური და ეთნოგრაფიული ყოფა, რაც გარკვეულ წილად მიადვილებს ჩვენამდე მოღწეული წყაროების გავრცობასა და ფაქტების ახლებურად წარმოჩენას.

ნაშრომში მოძიებულია კორინთის შესახებ არსებული ცნობები, საუბარია აზნაურ კორინთელებზე და მათ როლზე ქვეყნის ცხოვრებაში, გაანალიზებულია სოფელში საუკუნეების განმავლობაში არსებული სოციალური ურთიერთობები, გლეხთა კატეგორიები, ეკონომიკური ყოფა, დემოგრაფიული, რელიგიური და კულტურული ვითარება. შესწავლილია ხუროთმოძღვრული ძეგლები და განსაზღვრულია მათი როლი ქსნის სათავადოს ცხოვრებაში. ყურადღება ეთმობა იმ ეროვნულ საგანძურსაც, რომელიც თავის დროზე ერისთავების კარის ეკლესიაში ინახებოდა.

დისკუსია (მსჯელობა)

კორინთა გახლდათ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი და ქართლის სამეფოს სოფლების ერთ-ერთი გზაგასაყარი. ახალგორიდან იკოთის გავლით კორინთის მიმართულებით მიმავალი „საქალაქო გზა" ჟამურის ხეობამდე აღწევდა, ხოლო ქარჩოხის ციხესთან უერთდებოდა ლომისის მთას, საიდანაც გზა მიდიოდა არაგვის და დარიალის ხეობებში, დარიალიდან კი - ჩრდილოეთ კავკასიაში. ასევე ახალგორიდან კორინთის გავლით მიმავალი გზა უკავშირდებოდა ალევის ხეობას, საფერშეთსა და ფასანაურს **(გვრიტიშვილი, 1955: 159).** მისმა მდებარეობამ განსაზღვრა IX-X საუკუნეებში ძლიერი ფეოდალური გვარის კორინთელების აღზევება. პროფ. ნ. შოშიაშვილის მიხედვით: გვარი მომდინარეობს ქსნის ხეობაში მდებარე ადგილის - კორინთის სახელიდან. კორინთელები ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოში ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების დამყარებას. მაგალითად, X საუკუნის I ნახევარში დაჩი კორინთელმა ქართლისა და კახეთის სხვა ფეოდალებთან ერთად აფხაზთა მეფის გიორგი II-ის მიერ დაპყრობილი კახეთის ციხეები კვლავ ხელში ჩააგდებინა კვირიკე კახთა ქორეპისკოპოსს და ამით აფხაზთა მეფეს ხელი შეუშალა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში. გვიანდელ შუა საუკუნეებში კორინთელები დაემცრნენ და უკვე აზნაურთა წოდებას მიეკუთვნებოდნენ **(შოშიაშვილი, 1980: 674).** სწორედ დაჩი კორინთელი მოიხსენიება ამ გვარის წარმომადგენელთა შორის პირველად ისტორიულ წყაროებში **(ქართლის ცხოვრება, I, 1955: 269).** კორინთელი მოხსენიებულია აგრეთვე როგორც მოწმე უცნობი პირის მიერ სარკინის მონასტრის წინამძღვრისათვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა, რომელსაც მკვლევარები სხვადასხვა პერიოდით ათარიღებენ **(ქსძ, 1965: 68),** ვახუშტი ბატონიშვილი კორინთელებს მოიხსენიებს ძველ მთავართა გვარებს შორის **(ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 28).** ასევე მოხსენიებულნი არიან საქართველოს აზნაურობის ოფიციალურ სიაში, რომელიც შეტანილია 1850 წელს

სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ და დამტკიცებულ ე.წ. „ბარხატნაია კნიგაში" (ხავერდოვანი წიგნი)...

XVIII საუკუნეში აზნაური კორინთელები ლეხურის ხეობაში აარსებენ სოფელ საკორინთლოს, რომელიც კასპის მუნიციპალიტეტის ქვემო ჭალის თემს ეკუთვნის და კასპიდან 16 კილომეტრითაა დაშორებული... კორინთლიანთ სოფელს უწოდებდნენ ასევე ილტოზას. ქართლ-კახეთის 1994-1799 წლების აღწერის მიხედვით „კორინთლიანთ სოფელი რ(ომე)ლსა ილტოზა ეწოდება" მეფის ძის იოანეს სააზნაურო მამული იყო **(ბაგრატიონი იოანე, 1986: 36).** ილტოზა, იგივე ირტოზა, როგორც ძველ წყაროებშია მოხსენიებული და მათ შორის, ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერილობებში, მდებარეობს ქსნის ხეობაში და მიეკუთვნება დუშეთის მუნიციპალიტეტის მჭადიჯვრის თემს, დუშეთიდან დაშორებულია 22 კილომეტრით.

წილკნელის „ღმრთისმშობლის სამწყსოს სიგელში", რომელიც 1669 წლით თარიღდება, ჩანს, რომ „ირტოზის" მებატონეები ქსნისხეველი აზნაურები კორინთელები იყვნენ:

„ქ. ქსანზედ ი რ ტ ო ზ ა ს კორინთლები, თუ სახლის უფროსი კაცი ან დედაკაცი მოკვდეს, კაცზედ მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, ორი წასახურავი - ერთი წილკნელისა, ერთი თავისი, აგრევე დედაკაცზედ საწირავი, ნიშანი, ტყავი, ან ტოლომა (ქალის წამოსასხამი - დ.ა.), კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, ორი წასახურავი წილკნელს მიართონ. თუ სახლის უმცრ(ო)სი მოკვდეს, ან უცულო, ან მეუღლენი მათნი, ერთი საწირავი და ერთი წასახური მიართონ" - ვკითხულობთ სიგელში **(ჯავახიშვილი, 1974: 36; ქსძ, 1970: 560).** ძველი ილტოზა, რომელიც ლეკიანობის გამო მეთვრამეტე საუკუნეში ნასოფლარად იქცა, ქსნის მარცხენა მხარეს მდებარეობდა, ლამისყანის მოპირდაპირედ, ქსოვრისსა და ოძისს შორის. ახალი ილტოზა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაუშენებიათ **(ქენქაძე, 2016: 225).**

იქვე ცალკეა საუბარი საკუთრივ სოფელ კორინთაზე:

„ქ. კ ო რ ი ნ თ ა ს: ღვდელსა და სოფელს: ერთ დღეს ჩაყენება. სახუცო ნახევარი ხარი. დრამა კომლზედ შულო ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე იმათი მეუღლეს ერთი საწირავი. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით" **(ჯავახიშვილი, 1974: 37; ქსძ, 1970: 562).**

კორინთა ქსნის ხეობის ჩრდილოეთით ბოლო სოფელი იყო, რომელსაც წილკნელის სარგო ჰქონდა დაკისრებული. ცხადია, იგი ამ პერიოდში დასახლებული იყო, მაგრამ იქ მცხოვრებთა მემკვიდრეები მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერებში აღარ ჩანან...

რაც შეეხება აზნაურ კორინთელებს, ისინი რამდენჯერმე მოიხსენიებიან ქსნის ერისთავების XIX საუკუნის გაყრის წიგნებში: 1807 წლის 2 ივნისის გაყრილობის სიგელით, სადაც საუბარია ერისთავთა გვარში აზნაურების, გლეხებისა და მამულების „შეფარდებაზე", თავად შანშე ერისთავის წილხვედრ აზნაურებს შორის ვხვდებით დათუა

კორინთელს „თავისით და თავის სახლისკაცის მამულით და ზურაბს თავის მამულით" **(გსიემ, 1956: 437).**

კორინთაში ცხოვრობდნენ გიორგი ერისთავის წინაპრები. პროფ. ს. ხუციშვილსა და ვ. ქენქაძეს შესაძლებლად მიაჩნდათ, რომ ცნობილი დრამატურგი და ეროვნული მოღვაწე დაბადებული ყოფილიყო სოფელ კორინთაში, პაპის როსტომის მიერ აშენებულ სასახლეში **(ხუციშვილი, 1973; ქენქაძე, 2016: 168-169).** როსტომი იყო დავით ქსნის ერისთავის (1753-1774) უფროსი ვაჟი. ძმებს შორის ქონების გადანაწილების დროს წილად ხვდა კორინთა. როსტომს თავის მხრივ ორი ვაჟი ჰყავდა: დავითი და შალვა. დავითი შემდგომში სოფელ ოძისში დამკვიდრდა. როსტომის სასახლემ ჩვენამდე ვერ მოაღწია, მის ნასახლარზე მოგვიანებით სხვადასხვა ოჯახები დასახლდნენ, თუმცა ადგილობრივთა ხსოვნას დღემდე შემორჩა ტოპონიმი - „როსტომის ნასახლარი". 1856 წლის ზაფხულში როსტომისეულ სასახლეში სტუმრად მყოფი გიორგი ერისთავის მეუღლე მართა დავითის ასული თარხან-მოურავი იხსენებს: „ავიყარენით და წავედით. ორ საათის სავალი იყო. ავედით ერთ მაღალ გორაზე. დგას ერთი პატარა გალავანი. შიგ სახლებით. მშვენიერი საყურებელია მდინარე ქსანი დასავლეთით და სამხრეთით. სახლის ქვემოთ პატარა ბნელი ოთახები იყო, ზევიდან კი კარგი ოთახები, ექვსი ოთახი, ერთი კარგი ზალა, ზევიდან ამასაც ფიცარი (ყავარი. ვ.ქ.) ხურვია. სულ ქარს აუგლეჯია და ჩამოდის წვიმა, როგორც გარეთ ისე შინ. გალავანს შიგნით ერთი პატარა ეკლესია იყო, საკუთარი ღვდლით. ამ ეკლესიის წინ ერთი ძირი კაკალი ედგა და ერთი ცაცხვის ხე. ამ გალავანში ერთი კომლი ნაყმევები გლეხი კაცი იდგა" **(ქენქაძე, 2016: 166).** ეს მოგონება ნათელ წარმოდგენას გვიქმნის სასახლეზეც და იმ მდგომარეობაზეც, რაშიც ეს სასახლე იყო. პატრონები, როგორც ჩანს, მხოლოდ ზაფხულში აკითხავდნენ და თანდათანობით ზიანდებოდა... გალავნის შიგნით პატარა ეკლესია, რომელსაც მართას დროს საკუთარი მღვდელი ჰყოლია, წმინდა მარინეს სახელობის იყო, რომლის გვერდითაც ყოფილა ასევე კიდევ ერთი ძველი ეკლესია... კორინთის ცენტრში აგებულ ამ შესანიშნავ ძეგლს ლ. გვრიტიშვილი ადრექრისტიანულ პერიოდთან აკავშირებს და მაღალი რანგის მშენებლობად მიიჩნევს: „ეკლესიას გააჩნია V-VII საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ნიშნებიც. კერძოდ ის, რომ მასში შიდა სივრცე პილასტრებითა და საყრდენი თაღებით არ არის დანაწევრებული" **(გვრიტიშვილი, 1997: 165).** ერისთავების სასახლის სათოფეებით აღჭურვილი გალავანი 5 მეტრი სიმაღლისა და 25 მეტრი სიგრძის ყოფილა, რომლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მრგვალი კოშკის ძირითადი ნაწილია შემორჩენილი. ეკლესიის ეზოში ძველი საფლავებია. ვ. ქენქაძე მიგვანიშნებს, რომ გადმოცემით, აქ ინახებოდა ალევის წმინდა სამების საგანძური **(ქენქაძე, 2016: 166**). ...სწორედ კორინთის ეკლესიაში აღწერა ექვთიმე თაყაიშვილმა 40-მდე ძვირფასი ნივთი, შემდეგ ისინი ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში გადაიტანეს. ექვთიმეს ერისთავების კარის ეკლესიაში უნახავს ასევე კანკელი (ტიხარი, რომლითაც საკურთხეველი გამოყოფილია ეკლესიის ძირითადი ნაწილისაგან), რომელიც მარიამ ერისთავს მოუხატვინებია. მარიამი იყო ივანე ქობულაშვილის ასული (1786-1848) და დავით როსტომის ძე ერისთავის მეუღლე, გიორგი ერისთავის დედა: „ქ. შემოგწირე კარისა ჩემის ეკლესიას კორინთას წმინდის მარინესას. კნეინა მარიამ ერისთოვისამ კანკელი ესე სულთა და ხორცთა ჩემთა საოხად და ძეთა ჩემთა სადღეგრძელოდ და გარდაცვალებულისა მეუღლისა ჩემისა დავით ერისთვის მოსახსენებლად" **(Такаишвили, 1915: 65).** ექვთიმე წარწერას მეცხრამეტე საუკუნის

დასაწყისით ათარიღებს. მარიამის მეუღლე დავითი 1830 წელს გარდაიცვალა. შესაბამისად, იგი შესრულებული უნდა იყოს 30-იანი წლების დასაწყისში ან შემდგომ პერიოდში. აღსანიშნავია ისიც, რომ წმინდა მარინეს ეკლესია შემდგომში დაზიანებულა... მოსახლეობას სოფლის ცენტრში აღუდგენია ტაძარი, რომელსაც წმინდა გიორგის სახელით მოიხსენიებდნენ. როგორც ქალბატონმა ლედი ნათაძემ გვითხრა, მამამისის - გიორგი თედოს ძე ნათაძის სახელზე (რომელიც ათეული წლების მანძილზე კორინთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა) დაბადების მოწმობა 1913 წელს გაუციათ და მისი გამცემი წმინდა გიორგის სალოცავი იყო... ეკლესიაში ძველი ნივთებიდან აღარაფერი ყოფილა შემორჩენილი, საეკლესიო ნივთები მოგვიანო პერიოდისაა. კომუნისტური მმართველობის პერიოდში წმინდა გიორგის სალოცავში ჯერ სოფლის მაღაზია განათავსეს, შემდეგ როგორც ეზოში, ისე ტაძარში კინოჩვენება ეწყობოდა... ვასილ ალექსანდრეს ძე მილაძის ცნობით, წმინდა გიორგის სალოცავს ბოლოს რესტავრაცია 2000-იან წლებში ჩაუტარდა. წმინდა მარინეს სახელობის კიდევ ერთი ეკლესიის ნაშთები დღემდეა შემორჩენილი სოფლიდან მოშორებით, ქედზე, სადაც, ლ. ნათაძის ინფორმაციით, მოსახლეობა ამაღლების დღესასწაულს აღნიშნავდა. მომლოცველები საცალფეხო ბილიკებით მიუყვებოდნენ ტაძრისაკენ მიმავალ გზას... ბუნებრივია, ერისთავთა საცხოვრებლიდან შორს, მაღალი მთის ქედზე მდგარი, რთულად მისასვლელი ტაძარი ვერ იქნებოდა მათი კარის ეკლესია, რომელსაც მარიამმა კანკელი შესწირა და რომელზეც გიორგი ერისთავის მეუღლე საუბრობს...

გარდამავალ ხანას მიეკუთვნება ალეურას ხეობაში მდებარე კვირაცხოვლის სახელობის დარბაზული ეკლესია, გალავნის ფრაგმენტებით. სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით ნაგები კედლები 2-3 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი **(შიდა ქართლი, 2008: 101-103)...**

XVIII საუკუნის ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობების მიხედვით ეს სოფელი ქარჩოხის მოურავის აბრამ თინიკაშვილის სახელოს წარმოადგენდა, რაც იმით იყო განპირობებული, რომ იმ დროისთვის იქ, ძირითადად, სოფელ თინიკაანიდან გადასახლებული თინიკაშვილების რამდენიმე ოჯახი სახლობდა.

1774 წლის აღწერით კორინთაში ცხოვრობდნენ:

„ქ: თინიკანთ მამუკას შვილი კომლი ა. თავი ა მახარებელი

აქავ თინიკანთ გიორგის შვილი კომლი ა. თავი ბ იოსებ და გამიხარდი

აქავ თინიკანთ ავთანდილის შვილი კომლი ა. თავი ბ გაბიდური (გაბიდაური - დ.ა) და მახარებელი

აქავ თინიკანთ მამუკას შვილის ივანეს ობოლი (თავი) ბ ბერუკა და მამუკა"

იქნა მემკვიდრის ჯამი კომლი გ თავი ე

იქნა მემკვიდრის ობლის ჯამი თავი ბ" **(თაყაიშვილი, 1951: 42).**

თინიკაშვილების 4 ოჯახში 7 მამრობითი სქესის წარმომადგენელია. სავარაუდოდ, ისინი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში უნდა ჩამოსახლებულიყვნენ ქარჩოხიდან. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თინიკაშვილების დასახლებამდე კორინთაში სხვა, აბორიგენი მოსახლეობა სახლობდა. ამ მხრივ საყურადღებოა ეკატერინე გაბრიელაშვილის მონათხრობი, რომლის მიხედვით, სწორედ მისი წინაპრები ყოფილან სოფლის ძველი მოსახლენი: „მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სანამ ამ ციხესიმაგრის ტიპის ისტორიულ სოფელში თინიკაშვილებს ჩამოასახლებდნენ, აქ ძველი მოსახლეობაც სახლობდა, მათ შორის იყვნენ ჩემი წინაპრები დედის მხრიდან, ბიბილურები, რომლებიც დაკრძალულნი არიან კორინთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში. ისინი იყვნენ კორინთის დიდი მამულების მფლობელები და თინიკაშვილების ჩამოსახლების შემდეგ მოხდა ერთ-ერთი ბიბილურის, დიდი ბებიის ძმის მკვლელობა ამ მამულების გამო"... ბიბილურები საეკლესიო მოღვაწენი ყოფილან. დავით გიორგის ძე ერისთავის თანამედროვეა (1847-1890) კორინთის ეკლესიაში მოღვაწე ერთ-ერთი დიაკვანი გიორგი ბიბილური, რომელიც მონაწილეობდა დავითის მიერ ოძისში მოწყობილ თეატრალურ წარმოდგენებში. მიხეილ ცაგარელის მოგონებით, რომლის დეიდის ქმარიც იყო კორინთელი დიაკვანი, „დავით ერისთავს თავის მფლობელობაში მყოფ სოფელ კორინთაში, ადგილობრივ ეკლესიაში დიაკვნად მიუვლენია გიორგი ბიბილური, მიუცია მოზრდილი ბაღ-ვენახის ნაკვეთი, სადაც სიკვდილამდე დარჩენილა თავისი ოჯახით. მისი გარდაცვალების მერეც ერისთავების მემკვიდრეთაგან არავინ შესცილებია. კორინთის დიაკვანი ბიბილური კარგი სტუმართმოყვარე ფოკუსნიკი და გართობის მოყვარული კაცი ყოფილა. სტუმრებს ხშირად უმასპინძლდებოდა მდინარე ალეურაზე დაჭერილი ცოცხალი თევზით. სრულებით არ აინტერესებდა კარიერა. ლაღი ბუნების ადამიანს უფრო ხალხის ჭირ-ვარამზე ყვარებია საუბარი" **(ქენქაძე, 2016: 200).** ცაგარელის მიხედვით, ბიბილური დავითს მიუვლენია კორინთაში დიაკვნად და მიუცია ნაკვეთი, რაც მიგვანიშნებს, რომ მან ეს ყველაფერი ერისთავისგან მიიღო და არა მემკვიდრეობით. თუმცა ბიბილურთა საგვარეულო სახლის წარმომადგენლის დიაკვნად არჩევა და მისთვის მამულის ბოძება შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. მართალია, ბიბილურებს ჩვენ ვერც ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერილობებში ვხვდებით, მაგრამ ეს არ გამორიცხავს სოფლის მკვიდრთა ვერსიას, რომლის მიხედვით ბიბილურები კორინთის ადრინდელ, მკვიდრ მაცხოვრებლებად მიიჩნევიან. ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანის „ძეგლი ერისთავთას" მიხედვით სწორედ ბიბილურები, კერძოდ, როსტომი უნდა ყოფილიყო ერისთავთა საგვარეულოსა და ქვენიფნეველთა შტოგვარის დამფუძნებელი **(მესხია, 1954: 345).** თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ ქსნის საერისთავოს წარმოშობისა და ერისთავთა წარმომავლობის საკითხს არაერთი მკვლევარი შეეხო და ამაზე ვრცლად ვისაუბრეთ ახალგორისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში **(ახლოური, 2006: 53-68)...** ბიბილურები საქართველოში ცნობილი ისტორიული გვარია და უნდა მომდინარეობდეს საკუთარი სახელიდან ბიბილა, ამავე ძირისაა ბიბილაური, ბიბილაშვილი, ბიბილურიძე, ბიბილაია **(მაისურაძე, 1990: 35-36; ახუაშვილი, 2005: 316).** ბიბილურების უმრავლესობა ცხოვრობენ თბილისში, გორში, ბორჯომსა და ქარელში **(იხ., კვაჭანტირაძე, 2017: 75)...**

დავუბრუნდეთ ისევ XVIII საუკუნის ქსნის საერისთავოს აღწერებს: 1783 წლის მონაცემებით კორინთაში მცხოვრებ კომლთა რიცხვი უკვე 6-ია, აქედან 5 კომლი

თინიკაშვილები, რომლებიც მამიშვილობით არიან მითითებულნი და ერთი კომლი - ზანგურაშვილები. მათ შორის ერთი სასულიერო პირია. მამაკაცთა რაოდენობა 12-ია, წინა აღწერასთან შედარებით ორჯერ გაზრდილი:

„ქარჩოხს კორინთიდამ ამისივე (აბრამ თინიკაშვილის - დ.ა.) სახელო

ქ. ავთანდილის შვილი კომლი ა. თავი ბ მახარებელი და გაბიდაური

აქავ გიორგის შვილი კომლი ა. თავი ბ იოსებ და გამიხარდი

აქავ კაციას შვილი კომლი ა თავ ა ბერი (ჯავახიშვილთან კაციას წინ ჩამატებულია სიტყვა „კორინთიდამ" - ჯავახ., 1967: 233 - დ.ა.)

აქავ ზანგურას შვილი, კომლი ა თავი ე ივანე ოთარა პეტრე მღვდელი დემეტრე (ოთარას შემდეგ გამორჩენილია *იასე* - ჯავახ., 1967: 233 - დ.ა.)

აქავ მამუკას შვილი კომლი ა თავი ა მახარებელი

აქავ მამუკას შვილი კომლი ა თავი ივანე შეუძლებელი (ჯავახიშვილთან შეუძლებელის წინ ჩამატებულია სიტყვა - „მორიგობის", ანუ ივანე მორიგობის შეუძლებელი ყოფილა, მორიგე ჯარში ვერ გაიწვევდნენ - დ.ა.) **(თაყაიშვილი, 1951: 13; ჯავახიშვილი, 1967: 233).**

ნიშანდობლივია ისიც, რომ ავთანდილ თინიკაშვილის ერთ-ერთი ძის საკუთარი სახელი გაბიდაურია, ფშავიდან ქსნის ხეობაში გადმოსული თინიკაშვილების ადრინდელი გვარი საკუთარ სახელადაა ქცეული...

1794-1799 წლების ქართლ-კახეთის აღწერაში კორინთა იოანე ბატონიშვილის სააზნაურო მამულების სიაშია **(ბაგრატიონი იოანე, 1986: 36).** კორინთის მოსახლეობის შესახებ ცნობებს ვხვდებით იოანეს 1803 წლის საუფლისწულოს აღწერის შეჯამებით ცნობებშიც, რომლის მიხედვით, სოფელში მცხოვრები 6 კომლიდან 17 მამაკაცი და 10 ქალია **(Акты, 1968: 82).**

6 კომლია მითითებული 1804 წლის კამერალურ აღწერაშიც. ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობებისაგან განსხვავებით, კორინთა ქარჩოხის მოურავის სახელოდ აღარ იხსენიება, 6 კომლიდან 5 კომლი ქსნის ერისთავის მფლობელობაშია, 1 კომლი - ფიცხელაურის:

აქ მცხოვრები ქართველები:

1. მახარაბელი თინიკა შვილი, 1 კომლი, 10 მამაკაცი, 10 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 3 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 3 თივა, 1 ბაღი, მოჰყავს 240 თუნგი ღვინო. გადახდილი აქვს 1 ლიტრა ყველა, 1 ლიტრა კარაქი, სულ 3 მანეთი და 20 კაპიკი.

2. საბუჯური (გაბიდაური - დ.ა.) თინიკა შვილი, 1 კომლი, 4 მამაკაცი, 3 ქალი, 5 დღის სახნავი მიწა, 6 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 2 თივა, 1 წისქვილი, 1 ბაღი, მოჰყავს 18 კოდი პური, 360 თუნგი ღვინო. გადახდილი აქვს ასევე 3 მანეთი და 20 კაპიკი.

3. გიორგი თინიკაშვილი, 1 კომლი, 4 მამაკაცი, 2 ქალი, 6 დღის სახნავი მიწა, 2 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 3 თივა, 1 ბაღი, მოჰყავს 240 თუნგი ღვინო. გადახდილი აქვს ასევე 3 მანეთი და 20 კაპიკი.

4. პეტრე თინიკა შვილი, 1 კომლი, 2 მამაკაცი, 1 ქალი, 5 დღის სახნავი მიწა, 1 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 3 თივა, 1 წისქვილი, 1 ბაღი, მოჰყავს 20 კოდი პური, 240 თუნგი ღვინო. გადახდილი აქვს ასევე 3 მანეთი და 20 კაპიკი.

5. მახარაბელი ზანგელაშვილი (ზანგურაშვილი - დ.ა.), 1 კომლი, 3 მამაკაცი, 3 ქალი, 5 დღის სახნავი მიწა, 2 დღის - სახნავად გამოუყენებელი, მოჰყავს 180 თუნგი ღვინო. გადახდილი აქვს ასევე 3 მანეთი და 20 კაპიკი.

თავად ერისთავის მიწაზე ცხოვრობს 5 ოჯახი, 23 მამაკაცი, 19 ქალი, მათ მფლობელობაშია 24 დღის სახნავი მიწა, 14 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 11 თივა, 2 წისქვილი, 5 ბაღი, მოჰყავთ 1260 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვთ 16 მანეთი.

მემამულე გოგი ფიცხელაუროვის (რუსული დაბოლოებითაა - დ.ა.) მიწაზე მცხოვრები:

1. გოგი ზანგელაშვილი (ზანგურაშვილი - დ.ა.) 4 მამაკაცი, 3 ქალი, 6 დღის სახნავი მიწა, 2 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 1 ბაღი, მოჰყავს 60 თუნგი ღვინო, სახაზინო გადასახადი არ გადაუხდია, მემამულეს გადაუხადა 2 ცხვარი და თითო ლიტრა ყველი და კარაქი, სულ: 3 მანეთი და 20 კაპიკი.

სულ კორინთაში ცხოვრობს 6 ოჯახი, 27 მამაკაცი, 22 ქალი, 30 დღის სახნავი მიწა, 16 დღის - სახნავად გამოუყენებელი. 11 თივა, 2 წისქვილი, 6 ბაღი, 1320 თუნგი ღვინო. გადახდილი აქვთ 19 მანეთი და 20 კაპიკი.

გადასახადს მემინდვრეობით და მეცხოველეობით იხდიან **(გსიემ, 1956: 50-51).**

თვალშისაცემია მოსახლეობის მკვეთრი ზრდა. თუ XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში კორინთელთა 6 ოჯახში 11 მამაკაცი ცხოვრობდა, ახალი საუკუნის დასაწყისში მათი რიცხვი 27 იყო. ვხვდებით დიდ ოჯახსაც, რომლის რიცხვიც 20-ს აღწევს. ზოგადად, დიდი ოჯახები ქსნის ხეობისთვის დამახასიათებელია. რამდენიმე თაობა ხშირად ერთმანეთის გვერდით, ერთჭერქვეშ ცხოვრობდა. მოსახლეობის ზრდა შესამჩნევია მომდევნო წლებშიც... კორინთელი უნდა ყოფილიყო XIX საუკუნეში სამების ეკლესიისთვის ვერცხლის ჯვრის ერთ-ერთი შემწირველი გლახა თინიკაშვილი, რომელიც მოხსენიებული ჰყავს ექვთიმეს სამებიდან კორინთის ეკლესიაში გადმოტანილი ნივთების აღწერისას (**Такаишвили, 1915: 68).** 1807 წლის 1 ივნისის მიხეილ და შანშე ერისთავების გაყრის წიგნის მიხედვით, კორინთა თავის მამულითა და მოსახლე კაცით მიხეილ ერისთავსა და მის ძმებს ხვდათ წილად.

1814 წლის აღწერით, თავად მიხეილ ერისთავის და მისი ძმების, დავით, მირმანოზ და სოლომონის მიწაზედ ცხოვრობდნენ:

საბაჯურ თინიკა შვილი, მის ოჯახში 8 მამაკაცი და 5 ქალი იყო. ფლობდა 8 დღიურ მიწას,

პეტრე თინიკა შვილი - 1 მამაკაცი, 5 ქალი, 3 დღიური მიწა,

აბრამ თინიკა შვილი - 1 მამაკაცი, 1 ქალი, 5 დღიური მიწა,

მახარაბელი ზანგურა შვილი - 5 მამაკაცი, 4 ქალი, 2 დღიური მიწა.

მათ გარდა სოფელში აღრიცხულნი არიან თავადების შალვა, ელიზბარ და ლუარსაბ ერისთავების მიწაზე მცხოვრები დემეტრე და გიორგი ანთიაშვილები, კორინთის მკვიდრთა შორის ეს გვარი არც წინა, არც მომდვნო აღწერებში არ გვხვდება, შესაძლებელია ოჯახის უფროსის მამიშვილობით მოხსენიებასთან გვქონდეს საქმე... დემეტრეს ოჯახში 10 სულია - 4 მამაკაცი, 6 ქალი, ფლობენ 5 დღიურ მიწას, გიორგის ოჯახში - 15 სული, 5 მამაკაცი, 10 ქალი, ამუშავებენ 5 დღიურ მიწას. სულ სოფელ კორინთაში 6 კომლი ცხოვრობს, 24 მამრობითი სქესის, 31 მდედრობითი, მათ მფლობელობაშია 28 დღიური მიწა **(სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 367, ფურცელი 112-113).**

1821 წლის კამერალური აღწერის მონაცემებით, კორინთაში მიწები და ყმები ეკუთვნოდათ პოდპოლკოვნიკ ელიზბარ ერისთავს, პოდპოლკოვნიკ მიხეილ ერისთავს, მირმანოზ, სოლომონ და დავით ერისთავებს.

პოდპოლკოვნიკ, თავად ელიზბარ ერისთავის მიწაზე ცხოვრობდა თამაზ მახარობელის ძე თინიკოვის (თინიკაშვილის) ოჯახი:

კომლი 1. თამაზა მახარობელის შვილი თინიკოვი (თინიკაშვილი), მისი მეუღლე,[1] ვაჟიშვილები: მოსე და მახარობელი, ქალიშვილი და დედა. სულ ოჯახში 6 სულია, 3 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

პოდპოლკოვნიკ, თავად მიხეილ ერისთავისა და მირმანოზ, სოლომონ და დავით ერისთავების მიწაზე ცხოვრობდნენ:

კომლი 2. საბაჯური გამიხარდის შვილი თინიკოვი (თინიკაშვილი), მისი მეუღლე, ვაჟიშვილები: მოსე და მახარობელი[2], ძმიშვილი ნინია გოგიას ძე, საბაჯურის დედა, ბიძაშვილი გლახა იოსების ძე, გლახას მეუღლე, ვაჟიშვილები: გიორგი, სოსია და სიმონი, ქალიშვილი. სულ ოჯახში 12 სულია, 8 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის,

კომლი 3. პეტრე ბერის შვილი თინიკოვი (თინიკაშვილი), მისი მეუღლე, ქალიშვილები (2სული). სულ ოჯახში 4 სულია, 1 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

[1] მდედრობითი სქესის წარმომადგენლების სახელი მითითებული არ არის.
[2] ამ სახელებით არიან მოხსენიებულნი წინა კომლში თამაზ თინიკაშვილის ვაჟებიც, აქ გარკვეული უზუსტობაა, რადგან მომდევნო 1831 წლის აღწერაში საბაჯურის ვაჟებად მითითებულნი არიან გამიხარდი და მოსე.

კომლი 4. გლახა ოთარას შვილი ზანგუროვი (ზანგურაშვილი), მისი ვაჟიშვილები: გიორგი და აბრამი, ქალიშვილები (2 სული). სულ ოჯახში 5 სულია, 3 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ხოლო სრულიად სოფელ კორინთაში 4 კომლია, 15 მამრობითი სქესის და 12 მდედრობითი (27 სული), ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები **(სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 689, ფურ. 635-638).**

1831 წლის კამერალურ აღწერაში მითითებულია, როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა სახელები და ასაკი, რაც საშუალებას გვაძლევს, სრულყოფილად წარმოვაჩინოთ მაშინდელი კორინთის დემოგრაფიული სურათი:

ზურაბ ელიზბარის ძე ერისთავის საბატონო მამულზე ცხოვრობდნენ:

კომლი 1. თამაზ მახარობელის ძე თინიკაშვილი - 50 წლის,

მისი მეუღლე ელიზავეტა - 40 წლის,

მათი ვაჟიშვილები: მოსე - 20 წლის,

მახარაბელი - 15 წლის (გვერდით მიწერილი აქვს - გარდაიცვალა),

ქალიშვილები: ნინო - 8 წლის, სალომე - 5 წლის,

მოსეს მეუღლე ნინო - 15 წლის,

თამაზის დედა ელენე - 70 წლის.

სულ ოჯახში 8 სულია, 3 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის. წინა, 1821 წლის აღწერისგან განსხვავებით, ოჯახში ვხვდებით ახალ წევრებს: თამაზის და ელიზავეტის (ლიზას) ქალიშვილებს, ნინოს და სალომეს და ოჯახის ახალ რძალს, მოსეს მეუღლე ნინოს, რომელიც იმ დროს 15 წლის ყოფილა.

კომლი 2. თანდილა თინიკაშვილის ქვრივი ანნა - 50 წლის,

მისი ვაჟიშვილი ანდრია - 30 წლის,

ანდრიას მეუღლე ვარვარა - 20 წლის,

მათი ვაჟიშვილი თანდილა - 2 წლის.

სულ ოჯახში 4 სულია, 2 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

თანდილას ოჯახი 1821 წლის აღწერაში არ გვხვდება.

სულ ზურაბ ელიზბარის ძე ერისთავის მიწაზე ცხოვრობს 2 კომლი, 5 მამრობითი და 7 მდედრობითი სქესის (12 სული).

ადრინდელი მეზატონის მირმანოზ ერისთავის ვაჟების ესტატე და კონა ერისთავების ყმები იყვნენ:

კომლი 3. აბრამ გიორგის ძე თინიკაშვილი - 45 წლის (გარდაიცვალა),

მისი მეუღლე ელიზავეტი - 30 წლის,

ქალიშვილები: ქეთევანი - 8 წლის, ელენე - 4 წლის.

სულ ოჯახში 4 სულია, 1 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

აბრამი მოხსენიებულია 1821 წლის აღწერაშიც, მაგრამ იგი გლახას ძეა. შესაძლებელია თუ არა, გლახა შემდეგ გიორგის სახელით ჩაეწერათ, რთული სათქმელია. როგორც ჩანს, აბრამს ოჯახი სწორედ 1821 წლის შემდეგ შეუქმნია...

თავად ივანე ელიზბარის ძე ერისთავის ყმები:

კომლი 4. გიორგი მახარაბელის ძე თინიკაშვილი - 50 წლის (გარდაიცვალა),

მისი მეუღლე ელენე - 40 წლის,

მათი ვაჟიშვილი გაბრიელი - 20 წლის, ქალიშვილი მელანო - 12 წლის,

გაბრიელის მეუღლე მაია - 15 წლის.

სულ ოჯახში 5 სულია, 2 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

როსტომ, გიორგი, ოქროპირ და შალვა ერისთავების ყმები:

კომლი 5. საბაჯურ გამიხარდის ძე თინიკაშვილი - 50 წლის (გარდაიცვალა),

მისი მეუღლე მაია - 40 წლის,

მათი ვაჟიშვილები: გამიხარდი - 20 წლის, უცოლო (გარდაიცვალა),

მოსე - 18 წლის, უცოლო (გარდაიცვალა),

საბაჯურის ბიძაშვილი გლახა - 45 წლის,

მისი მეუღლე ხორეშანი - 40 წლის,

მათი ვაჟიშვილები: გიორგი - 20 წლის, უცოლო, გარდაიცვალა,

იოსებ (1821 წლის აღწერის მიხედვით სოსია) - 15 წლის, უცოლო (გარდაიცვალა),

სიმონ - 12 წლის.

გოგია თინიკაშვილის ქვრივი ელიზავეტ - 70 წლის.

სულ ოჯახში 10 სულია, 7 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

1821 წლის აღწერიდან ჩანს, რომ გოგია საბაჯურის ძმა იყო, იმ დროისთვის აღწერაში ნინია გოგიას ძეა მოხსენიებული, ნინია, მისი დედის - ელიზავეტისაგან განსხვავებით, ახალ აღწერაში აღარ გვხდება.

კომლი 6. პეტრე ბერის ძე თინიკაშვილი - 45 წლის,

მისი მეუღლე მარინა - 40 წლის,

მათი ვაჟიშვილები: გიორგი - 8 წლის, მოსე - 4 წლის,

ქალიშვილები: ელიზავეტ - 12 წლის, ტასია - 11 წლის, მაია - 1 წლის.

სულ ოჯახში 7 სულია, 3 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

1821 წლის აღწერისგან განსხვავებით, ოჯახში ვხვდებით პეტრეს ახალ დაბადებულ შვილებს: გიორგის, მოსეს და მაიას.

კომლი 7. გლახა ოთარის ძე ზანგურაშვილის ქვრივი (სახელი არ უწერია) – 60 წლის,

მისი ვაჟიშვილები: გიორგი - 17 წლის, უცოლო, აბრამ - 15 წლის, უცოლო.

სულ ოჯახში 3 სულია, მამრობითი სქესის.

1831 წელს კორინთაში უცხოვრია თინიკაშვილებისა და ზანგურაშვილების 7 ოჯახს, 21 მამრობითი და 20 მდედრობითი სქესის (41 სული).

მათ მოჰყვება რამდენიმე სული ჟამურის ხეობიდან:

1. გიორგი მედოშვილი, უცოლო - 25 წლის, ეროვნების გრაფაში მინიშნებულია ოსი,

მისი ძმები: ივანე, უცოლო -23 წლის, ლუა - 13 წლის, ოსები,

ქვრივი ანნა ჯებისაშვილი - 60 წლის, ოსი,

მისი შვილები: გიორგი - 12 წლის, გიგოლა - 9 წლის, ოსები,

კუცა გაგოშვილი - 18 წლის, ოსი,

ანნა თარაშვილი - 22 წლის, ოსი,

თინათინ ბედოშვილი - 40 წლის, ოსი,

მართა ყაზარაშვილი - 16 წლის, ეროვნების გრაფაში მინიშნებულია სომეხი,

მართა ბეგიშვილი - 15 წლის, ოსი,

თინათინ გურგენაშვილი - 10 წლის, ოსი,

მართა ილურიძე - 8 წლის, ქართველი.

გორის მაზრის სოფელ არცევიდან:

გაბრიელ ოთარა შვილი - 20 წლის, ქართველი.

მეჯვრისხევიდან:

შალიკა ილურიძე შვილი - 30 წლის, ქართველი,

სოსია გურბუკიშვილი - 15 წლის, ქართველი.

სულ სოფელ კორინთაში აღრიცხულია 57 სული, აქედან 45 ქართველი ეროვნების (24 მამაკაცი, 21 ქალი), 11 ოსი (6 მამაკაცი, 5 ქალი), 1 სომეხი, მდედრობითი სქესის **(სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 1247, ფურ. 252-254).**

1843 წლის კამერალურ აღწერაში მოხსენიებულნი არიან მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლები და მითითებულია მათი ასაკი:

კომლი 1. თამაზ მახარობელის ძე თინიკაშვილი - 62 წლის, გარდაიცვალა 1850 წელს,

მისი შვილი მოსე - 32 წლის,

მოსეს შვილი სიმონი - 5 წლის.

კომლი 2. ანდრია თანდილას ძე თინიკაშვილი - 42 წლის, გარდაიცვალა 1848 წელს,

მისი შვილი თანდილა - 13 წლის, გარდაიცვალა 1850 წელს,

კომლი 3. გაბრიელ გიორგის ძე თინიკაშვილი - 32 წლის, გარდაიცვალა 1851 წელს.

კომლი 4. გლახა თინიკაშვილი - 57 წლის, გარდაიცვალა 1850 წელს,

მისი შვილები: იოსებ - 27 წლის, გარდაიცვალა 1860 წელს,

სიმონ - 24 წლის,

მოსე - 8 წლის, გარდაიცვალა 1850 წელს.

კომლი 5. პეტრე ბერის ძე თინიკაშვილი - 57 წლის, გარდაიცვალა 1852 წელს,

მისი შვილი გიორგი - 20 წლის, გარდაიცვალა 1860 წელს.

კომლი 6. გიორგი გლახას ძე ზანგურაშვილი - 29 წლის, გარდაიცვალა 1852 წელს,

მისი ძმა აბრამ - 27 წლის.

თინიკაშვილებისა და ზანგურაშვილების გვერდით ისევ ვხვდებით 1831 წლის აღწერაში მოხსენიებულ, სხვადასხვა რეგიონიდან გადმოსახლებულ კომლებს:

გიორგი მედოშვილი - 37 წლის,

მისი ძმები: ივანე - 35 წლის, ლუა - 25 წლის.

გიორგი და ივანე 1846 წელს გადასახლებულან ქალაქ თბილისში, ლუა - 1848 წელს გარდაცვლილა.

გიორგი ჯებისაშვილი - 24 წლის, გარდაიცვალა 1850 წელს,

მისი ძმა გიგოლა - 21 წლის, 1850 წელს გადასახლდა ქალაქ თბილისში,

კუცა გაბოშვილი (1831 წლის აღწერით - გაგოშვილი) – 30 წლის, გარდაიცვალა 1846 წელს,

გაბრიელ ოთარაშვილი - 32 წლის, გარდაიცვალა 1849 წელს.

შალიკა ილურიძე შვილი - 42 წლის,

სოსია გურბუკიშვილი - 27 წლის.

შალიკა და სოსია 1845 წელს ისევ მეჯვრისხევში გადასახლებულან **(სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 2038, ფურ. 100-102).**

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, პირველი კამერალური აღწერა 1860 წელს ჩატარდა, წინა 1831 და 1843 წლების აღწერებისაგან განსხვავებით, კორინთაში ამჯერად მხოლოდ თინიკაშვილები და ზანგურაშვილები ცხოვრობდნენ:

სოფელს კორინთას საბატონო მამულზედ მცხოვრებნი თავად გიორგი ერისთავის ყმები:

კომლი 1. სიმონ გლახას ძე თინიკაშვილი - 38 წლის,

ამისი შვილები: ალექსა - 12 წლის, ახალშობილი,[3] მიხეილ - 10 წლის, ახალშობილი, გიგოლა - 8 წლის, ახალშობილი, იასე - 6 წლის, ახალშობილი.

ბიძაშვილები სიმონისა: ხოსიკა - 20 წლის, დათიკო - 17 წლის, ახალშობილი.

ძმიშვილები სიმონისა: გიგო - 20 წლის, მათე - 10 წლის, ახალშობილი, ვანო - 8 წლის, ახალშობილი. რიცხვი დედაკაცთა - 6.

კომლი 2. მოსე პეტრეს ძე თინიკაშვილი - 31 წლის,

ამისი შვილები: ზაქარა - 14 წლის, ახალშობილი, დიმიტრი - 8 წლის, ახალშობილი.

მოსეს ძმიშვილები: სიმონ - 15 წლის, ახალშობილი, ვანო - 10 წლის, ახალშობილი. რიცხვი დედაკაცთა - 3.

სოფელს კორინთას საბატონო მამულზედ მცხოვრებნი თავად ალექსანდრე ზურაბის ძე ერისთავის ყმები:

[3] ახალშობილად წერდნენ მას, ვინც წინა კამერალური აღწერის დროს დაბადებული არ იყო.

კომლი 3. მოსე თამაზის ძე თინიკაშვილი - 50 წლის,

ამისი შვილები: სიმონ - 20 წლის, სოსიკა - 16 წლის, ახალშობილი, მიხეილ - 10 წლის, ახალშობილი. რიცხვი დედაკაცთა - 3.

კომლი 4. აბრამ გლახას ძე ზანგურაშვილი - 50 წლის,

ამისი შვილი ივანე - 8 წლის, ახალშობილი. რიცხვი დედაკაცთა - 2.

სულ 4 კომლი - 21 მამრობითი და 14 მდედრობითი სქესის (35 სული), ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

ცნობების სიზუსტე დადასტურებულია ქვენა (ქვემო) ალევის ნაცვალის ლუა მილაძისა და აღმორჩეული კაცების: სიმონ და მოსე თინიკაშვილების მიერ. რადგანაც ამათ წერა არ იცოდნენ, მათი თხოვნითა და ხელის ჩამორთმევით ხელს აწერს დარჩია გათენაშვილი (ხელმოწერილია) **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 252, ფურ. 188-189).**

1873 წლის აღწერით კორინთაში კომლების რაოდენობა რვამდეა გაზრდილი, მომატებულია მცხოვრებთა რიცხვიც:

ზემო ალევის საზოგადოება, სოფელი კორინთა,

დროებით ვალდებულნი გლეხნი თავად გიორგი ერისთავის მიწაზე:

კომლი 1. ალექსი სიმონის ძე თინიკაშვილი - 26 წლის,

ამისი ძმები: მიხეილ - 23 წლის,[4] იასონ - 22 წლის, ილიკო - 20 წლის, პავლე - 5 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 8 სულია: 5 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 2. მოსე პეტრეს ძე თინიკაშვილი - 40 წლის,[5]

ამისი შვილები: ზაქარია - 22 წლის, დიმიტრი - 20 წლის, სოლომონ - 3 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 7 სულია: 4 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 3. სიმონ გიორგის ძე თინიკაშვილი - 30 წლის,

ძმა სიმონისა[6] ივანე - 20 წლის. სულ ოჯახში 4 სულია: 2 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

---

[4] კორინთის შესახებ ცნობებს ვხვდებით ორ სხვადასხვა საქაღალდეში (საქმეში) (ფ. 254, ან.2, საქმე №234. ფურ. 115-118; ფ. 254 ან. 2, საქმე №258. ფურ. 1097-1110), 258-ე საქმეში, მიხეილის ნაცვლად წერია ალექსი, რაც შეცდომაა, რომ არა სხვა აღწერების მონაცემები, ისედაც ნაკლებად საფიქრებელი იქნებოდა ორი ძმისთვის ერთი და იგივე სახელი - ალექსი დაერქმიათ.

[5] 258-ე საქმეში გვარი ხშირად შეცდომითაა მოხსენიებული, თინიკაშვილის ნაცვლად ხან თანიკაშვილია, ხან - თონიკაშვილი, მაგალითად თანიკაშვილად წერია მე-2-3-4 კომლები...

[6] ტექსტებში შეცდომით მითითებულია ძმა სოლომონისა.

თავად ალექსანდრე ზურაბის ძე ერისთავის მიწაზე მცხოვრებნი:

კომლი 4. სიმონ მოსეს ძე თინიკაშვილი - 40 წლის,

ძმები სიმონისა: იოსებ - 30 წლის, მიხეილ - 19 წლის. შვილი იოსებისა ივანე - 1 წლის, ახალშობილი, ბიძა მიხეილისა მიხეილ თამაზის ძე - 30 წლის, გაშვებული იყო[7]. სულ ოჯახში 10 სულია: 5 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის.

კომლი 5. დავით გამიხარდის ძე თინიკაშვილი - 40 წლის,

შვილი დავითისა ალექსანდრე - 4 წლის, ახალშობილი, ბიძაშვილი დავითისა იოსებ მოსეს ძე – 27 წლის. სულ ოჯახში 6 სულია: 3 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 6. გრიგოლ იოსების ძე თინიკაშვილი - 30 წლის,

შვილი გრიგოლისა პახულ - 4 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 5 სულია: 2 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 7. მათე იოსების ძე თინიკაშვილი - 21 წლის,

შვილი ნიკალა - 3 წლის, ახალშობილი. სულ ოჯახში 3 სულია: 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

კომლი 8. აბრამ გლახოს ძე ზანგური - 60 წლის,

შვილი ივანე - 20 წლის. სულ ოჯახში 6 სულია: 2 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

ხოლო სრულიად კორინთაში 8 კომლია, 25 სული მამრობითი სქესის და 24 მდედრობითი სქესის (სულ 49 სული), ყველა მათგანი ქართველია და მართმადიდებელი.

აღწერას ახლავს მისი სიზუსტის დამადასტურებელი მინაწერი: „ყველა ამ სიით ნაჩვენები კომლნი და სულნი, რომელნიც იყვნენ თვალად 20 აგვისტოს 1873 წლისა, ნაჩვენებნი არიან სისწორით და გაშვებული არავინ არის. გარნა თუ აღმოჩნდეს, მაშინ უნდა შევარდეთ პასუხის გებაში საფუძველზედ კანონებისა წარმოებისათვის აწინდელის კამერალნის აღწერისა, რომელზედაც ხელს მოვაწერთ ზემო ალევის საზოგადოების მამასახლისი სოლომან ნათაძე. აღმორჩეულნი გლეხნი დავითა ბუნტური, სოსე ხერკელაძე, სოლომან თათარაშვილი, ნასყიდა უდებაშვილი. ამათ მაგიერ ხელს ვაწერ ილარიონ კაბაევი“ **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 234, ფურ. 115-1118; ფ. 254 ანაწერი 2, საქმე 258. ფურ. 1097-1110).**

XIX საუკუნის მიწურულის შესახებ არსებულ დემოგრაფიულ ვითარებაზე შეგვიძლია ვისაუბროთ 1886 წლის რუსული კამერალური აღწერის მიხედვით, საოჯახო სიებში ვეცნობით როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა ვინაობას, მათ ასაკს, ეროვნებას, რელიგიურ კუთვნილებას და ა.შ.

[7] გაშვებული ნიშნავს წინა კამერალური აღწერის დროს გამორჩენილს ან გამოტოვებულს.

დუშეთის მაზრა, ზემო ალევის საზოგადოება, სოფელი კორინთა

კომლი 1. თინიკაშვილი იასონ სიმონის ძე - 22 წლის, 35 წლის, 34 წლის,[8]

ამისი ძმა პავლე - 5 წლის, 18 წლის, 17 ½ წლის,

ძმიშვილი მათი სვიმონ ილიას ძე - დაბადებული არ იყო, 1 წლის, ½ წლის,

იასონის მეუღლე მაგდანა - 20 წლის,

სვიმონის დედა ეკატერინა - 23 წლის.

სულ ოჯახში 5 სულია: 3 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 2. თინიკაშვილი ზაქარია მოსეს ძე - 22 წლის, 35 წლის, 34 წლის,

ამისი შვილი მიხა - დაბადებული არ იყო, 4 წლის, 3 ½ წლის,

ზაქარიას ძმები: დიმიტრი - 20 წლის, 33 წლის, 32 წლის,

სოლომონ - 3 წლის, 16 წლის, 15 ½ წლის,

ზაქარიას მეუღლე საბედა - 28 წლის.

სულ ოჯახში 5 სულია: 4 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

კომლი - . თინიკაშვილი სვიმონ გიორგის ძე - ასაკი მითითებული არ არის,

ამისი ძმა ივანე - ასაკი არც ივანეს აქვს მითითებული. როგორც ჩანს უმემკვიდრეოდ აღესრულნენ.

კომლი 3. თინიკაშვილი სვიმონ მოსეს ძე - 40 წლის, 45 წლის, 44 წლის,

ამისი მეუღლე ნინო - 25 წლის,

მათი ქალიშვილები: მარიამი - 10 წლის, სოფია - 6 წლის, ნინო - 4 წლის, მაგდანა - 1 წლის.

სულ ოჯახში 6 სულია: 1 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის.

კომლი 4. თინიკაშვილი იოსებ მოსეს ძე - 30 წლის, 40 წლის, 39 წლის,

ამისი მეუღლე ნინო - 32 წლის,

მათი ქალიშვილები: ლიზა - 8 წლის, ანნა - 5 წლის.

[8] აღწერაში მამრობითი სქესის წარმომადგენლებს სამი ასაკი აქვთ მითითებული: 1. აღნიშნავს წლოვანებას წინა 1873 წლის აღწერის მიხედვით; 2. „ვარაუდით, ასე შეხედვით რამდენის წლისა არის; 3. წლოვანობა, რამდენისა არის 1 იანვარს, 1886 წლისა.

სულ ოჯახში 4 სულია: 1 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 5. თინიკაშვილი დავით გამეხარდის ძე - 40 წლის, 46 წლის, 45 წლის,

ამისი შვილები: სანდრო - 4 წლის, 17 წლის, 16 ½ წლის,

გიორგი - დაბადებული არ იყო, 10 წლის, 9 ½ წლის,

ნიკო - დაბადებული არ იყო, 6 წლის, 5 ½ წლის,

დავითის მეუღლე მაია - 22 წლის,

დავითის ქალიშვილები: ნუშიკო - 4 წლის, ნინა - 3 წლის,

სანდროს მეუღლე მელანო - 15 წლის.

სულ ოჯახში 8 სულია: 4 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კომლი 6. თინიკაშვილი მათე იოსების ძე - 21 წლის, 34 წლის, 33 წლის,

ამისი შვილი ნიკალა - 3 წლის, 15 ½ წლის, 15 წლის,

მათეს ძმიშვილი პახუმ გრიგორის ძე - 4 წლის, 17 წლის, 16 ½ წლის,

მათეს მეუღლე ნინო - 27 წლის,

მათეს ქალიშვილები: მარიამი - 8 წლის, დარიკო - 6 წლის, ნენე - 3 წლის, ნატალი - 4 თვის,

პახუმის დედინაცვალი მარიამი - 35 წლის,

პახუმის და ანნა - 2 წლის.

სულ ოჯახში 10 სულია: 4 მამრობითი და 6 მდედრობითი სქესის.

კომლი - . ზანგური აბრამ გლახას ძე - ასაკი მითითებული არ არის,

ამისი შვილი ივანე. ამ კომლსაც მითითებული აქვს, რომ უმემკვიდრეოდ გადაშენდნენ.

სულ სოფელ კორინთაში ცხოვრობს 6 კომლი, 17 მამრობითი სქესის და 24 მდედრობითი (41 სული). ყველა ქართველი, მართმადიდებელი ქრისტიანები. **(სეასცა, ფ. 254 ან. 3, საქმე №1806, ფურ. 21-27).**

მეოცე საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში კორინთა ჯერ კიდევ არ ჩანს დემოგრაფიულად მრავალრიცხოვანი, სრულიად საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით აქ 12 კომლი ცხოვრობდა, 22 მამაკაცი და 36 ქალი (58 სული) **(საქართველოს 1923 წლის აღწერის ჯამები, 1926: 168).** შემდგომში უკვე შეიმჩნევა მოსახლეობის მატება: 1939 საკავშირო აღწერის მიხედვით კორინთაში, რომელიც სასოფლო საბჭოს ცენტრი იყო, 113 მცხოვრებია, 55 მამრობითი სქესის და 58 მდედრობითი. 1959 წლის

აღწერით - 129 სულია. 1970 წელს კორინთის მცხოვრებთა რიცხვი 160-მდე გაიზარდა, 73 მამაკაცი და 87 ქალი. ცხრა წლის შემდეგ, 1979 წელს კორინთის მოსახლეობა მნიშვნელოვნადაა მომატებული და 233 სულს შეადგენს, 101 მამაკაცი და 132 ქალი, რაც ამ სოფლის არსებობის მანძილზე ისტორიული მაქსიმუმი იყო. ამის შემდეგ კლების ტენდენცია შეინიშნება: 1989 წელს მხოლოდ 216 სულია (96 მამაკაცი, 120 ქალი) **(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).**

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, 2002 წლის აღწერით კორინთაში 205 მოსახლე ცხოვრობდა, 103 მამაკაცი და 102 ქალი, მოსახლეობის 98% ქართველები იყვნენ **(საქართველოს მოსახლეობის... 2003: 118).**

სამწუხაროს, სოფელს მძიმე დაღი დაასვა 2008 წლის აგვისტოს ომმა, დღეს მოსახლეობის დიდი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია იძულებით გადაადგილებული.

კორინთის მკვიდრის *ვასილ ალექსანდრეს ძე მილაძის* ინფორმაციით: XX საუკუნის შუა წლებში სოფელი კორინთა ორ - ძველ და ახალ უბნებად გაიყო. ძველი უბანი, მდებარეობს მდინარე ქსნის მარცხენა და მდინარე ალეურის მარჯვენა სანაპიროზე, ახალი უბანი - მდინარეების ქსნისა და ალეურას მარცხენა სანაპიროზე. ძველი კორინთა გალავნის შიგნით იყო მოქცეული და ქალაქური სტილის დასახლება გახლდათ, იქ მცხოვრებლებს დიდი ეზოები არ ჰქონდათ, შუკები და მოკირწყლული პატარა ქუჩები იყო, სახლი სახლზე მიდგმული, ისევე, როგორც ძველი ციხე-გალავნის შიგნით არსებული ტიპის დასახლებებში. დღემდე შემორჩენილია გალავნის ნანგრევები და წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

კორინთის ძველ უბანში ყველაზე მეტი თინიკაშვილები ცხოვრობდნენ... ძირითადად, XX საუკუნეში არიან ჩამოსახლებულები: მილაძეები, ღუნაშვილები, გაბრიელაშვილები, ხერკელაძეები, მწითურები, ნათაძეები, თათარაშვილები... მათ ადრინდელ განსახლების არეალს წარმოადგენდა ქვემო და ზემო ალევი, ასევე გუდაწვერი. უშუალოდ მილაძეები ალევში საძეგურიდან არიან მოსულები, ხოლო საძეგურში - ხრომისწყაროდან. ბიტიაშვილების ძველი სამკვიდრო ქსნის ხეობის სოფელი ქურთაა, რომელიც კორინთის მოპირდაპირედ ქსნის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს.

კორინთის ახალი უბანი, ოჯახების გაყოფის შემდეგ ახალი კომლების დასახლებებით არის შექმნილი და თარიღდება XX საუკუნის შუა პერიოდით...

ვასილ მილაძის ინფორმაციას ამყარებს სოფლის მკვიდრის *ინგა თათარაშვილის* მონათხრობი: „კორინთა ორ პატარა სოფელს ჰქვია, ხიდს გაღმა-გამოღმა; 1. ქედზე შეფენილი უძველესი ისტორიული კორინთა, თავისი ისტორიით, ეკლესიით, ციხე სიმაგრის ნაშთებით და ასევე ძველი, ადგილობრივი მაცხოვრებლებით დასახლებული; 2. კორინთა (კბილური, როგორც ძველი მაცხოვრებლებისგან ვიცი) ქვემო ალევის ბაღ-ვენახებშია გაშენებული და დასახლებულია ქვემო და შუა ალევიდან, ყოჩიანიდან, ხერკელაანიდან და ზემო ქურთიდან უგზოობას გამორიდებული მოსახლეობით."

კორინთაში XVIII საუკუნიდან მოსახლე თინიკაშვილების შთამომავლის *ანა თინიკაშვილის* გადმოცემით „ახალი კორინთა ანუ კბილურები, ისტორიული წყაროების მიხედვით იყო ძველი კორინთელების, კერძოდ, ქსნის ერისთავების მოურავის აბრამ თინიკაშვილის და მისი შთამომავლობის ადგილ-მამულები, რომელიც გასაბჭოების დროს ჩამოართვეს. თუმცა ძველი მამულის ნაწილი თინიკაშვილების გვარის რამდენიმე წარმომადგენელს ახლაც აქვს შემორჩენილი. ზოგმა გაყიდა, ზოგიც კოლმეურნეობამ გაანაწილა და ასე ჩამოსახლდა ალევის ხეობის ზემო სოფლებიდან მოსახლეობა. კორინთის გალავანში ახლაც ცხოვრობენ ისტორიული კორინთის მკვიდრი თინიკაშვილების შთამომავლები" **(ახლოური, 2021: 228).**

2008 წლის ომამდე სოფელ კორინთაში ცხოვრობდნენ ბასილაშვილები, ხერკელაძეები, ოდიშვილები, თინიკაშვილები, ნათაძეები, ბერიანიძეები, ჩიტიშვილები, შერმადინები, არჯევანიძეები, მარტიაშვილები, საბიაშვილები, მილაძეები, ღუნაშვილები, თათარაშვილები, მწითურები, ბლიაძეები, პაპაშვილები, ბიტიაშვილები, ტატუნაშვილები, დავითურები, გაბრიელაშვილები, ყოჩიშვილები, ომიაძეები, გიზოევები, დათუნაშვილები, ტარიელაშვილები, გვრიტაძეები...

დასკვნები:

კორინთა ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფელია, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. ვახუშტი ბატონიშვილი მას მიიჩნევდა ქსნის ხეობის მთისა და ბარის რეგიონების გამყოფად.

ფოლკლორული მასალების მიხედვით კორინთის სახელწოდება დაკავშირებული უნდა იყოს საბერძნეთის კორინთოსთან. შეურქმევია კორინთოდან მოვლენილ მისიონერს, მშობლიურ კუთხესთან მიმსგავსების გამო.

კორინთიდან იყვნენ ქსნის ხეობელი აზნაურები - კორინთელები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კორინთის მცხოვრებთა შესახებ პირველ ცნობებს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერებიდან ვეცნობით. იმ დროს კორინთა ქარჩოხის მოურავის სახელო იყო, იმ დროისთვის აქ ცხოვრობდა ქარჩოხის ხეობის სოფელ თინიკაანიდან გადმოსახლებული თინიკაშვილების რამდენიმე ოჯახი.

კორინთა ცნობილი დრამატურგის გიორგი ერისთავისა და მისი წინაპრების სოფელი იყო, აქ მათ ჰქონდათ სასახლე (რომელსაც მისი აღმშენებლის, გიორგის პაპის როსტომ ერისთავის პატივსაცემად როსტომისეულ სასახლეს უწოდებდნენ) და კარის ეკლესია.

ერეკლე მეორის მიერ ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ (1877-1878 წლები) კორინთა საუფლისწულო მამულების ნუსხაში აღირიცხებოდა, 1794-1799 წლების ქართლ-კახეთის აღწერის მიხედვით კი იოანე ბატონიშვილს ეკუთვნოდა.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან კორინთა ისევ ქსნის ერისთავების ხელშია, მათ მფლობელობაში იყო აქ არსებული მიწები და ყმები.

XIX საუკუნის რუსული კამერალური აღწერებიდან ჩანს, რომ იმ დროისთვის სოფლის დომინანტი გვარი თინიკაშვილი იყო, სოფელში მეთვრამეტე საუკუნიდან მკვიდრობდნენ ზანგურაშვილებიც. იყო შემთხვევები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან კორინთაში მოსახლეობის მიგრაციისა, თუმცა მათ იქ საბოლოოდ დამკვიდრება ვერ შეძლეს.

XX საუკუნიდან, განსაკუთებით 30-იანი წლების მიწურულიდან კორინთაში მოსახლეობა მკვეთრად იზრდება, აქ სახლდებიან ქსნის ხეობის მეზობელი სოფლებიდან, რის შედეგადაც 1979 წელს მოსახლეობის რაოდენობა 233-ს აღწევს, 101 მამაკაცი და 132 ქალი, რაც ამ სოფლის არსებობის მანძილზე ისტორიული მაქსიმუმი იყო.

კორინთაში, ისტორიულად, ქართული მოსახლეობა ცხოვრობდა, ასე იყო ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისშიც, 205 მცხოვრებიდან 98% ქართველი იყო.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კორინთის მოსახლეობის დიდი ნაწილი დევნილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ახლოური, დ. (2006). *ახალგორის ისტორია,* თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი".

ახლოური, დ. (2021). *ქსნის ხეობის ისტორია,* ტ., II, თბილისი: გამომცემლობა „საარი".

ახუაშვილი, ი. (2005). ქართული გვარ-სახელები, ტ. I, თბილისი: გამომცემლობა „მესხეთი".

ბაგრატიონი, იოანე. (1986). *ქართლ-კახეთის აღწერა,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება".

ბატონიშვილი, ვახუშტი. (1973). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა,* ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

გვრიტიშვილი, დ. (1955). *ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან,* თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი".

გვრიტიშვილი, ლ. (1997). *ქსნის ხეობის სოფლების ისტორია,* საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII, თბილისი.

გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ). (1956). *ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ.,* №7486.

თაყაიშვილი, ე. (1951). *ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა (ქსსა),* სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, თბილისი.

კვაჭანტირაძე, კ. (2017). *ქართული და ქართულ-ებრაული გვარ-სახელები,* თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი".

კორინთა (ქსე). (1980). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბილისი.

მაისურაძე, ილ. (1990). *ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები),* თბილისი: საქინფორმკინო

მესხია, შ. (1954). *„ძეგლი ერისთავთა" (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე).* ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ, კრებულში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30. თბილისი.

საქართველოს მოსახლეობის... (2003). *2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა),* ტ. II, თბილისი.

საქართველოს 1923 წლის აღწერის ჯამები. (1926). *სრულიად საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჯამები, ნაწილი II, დემოგრაფია,* ნაკვეთი I, ტფილისი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2020). *მოსახლეობის სრულიად საკავშირო 1939, 1959, 1970, 1979 და 1989 წლების აღწერების შედეგები სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020.

სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 367. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 367.*

სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 689. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 689.*

სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 1247. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1247.*

სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 2038. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 2038.*

სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 252. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 252.*

სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 234. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 234.*

სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 258. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 258.*

სეასცა, ფ. 254, ან. 3, საქმე 252. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე 1806.*

ქართლის ცხოვრება. (1955). ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I. თბილისი.

ქენქაძე, ვ. (2016). *ქსნის ერისთავების საქართველო,* თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი".

ქართული სამართლის ძეგლები (ქსძ). (1965). *საერთო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტ., II,* ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბილისი.

ქართული სამართლის ძეგლები (ქსძ). (1970). *საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტ., III,* ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი.

შიდა ქართლი. (2008). *ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა, ტ. IV,* ცირა დადიანიძის რედაქციით, თბილისი.

შოშიაშვილი, ნ. (1980). ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი.

ჩიტაია, გ. (1940). *ქსნური მთის გუთანი,* „ენიმკის მოამბე", ტ. V-VI, თბილისი.

ხუციშვილი, ს. (1973). გახსენება, „კომუნისტის გზა", №117, თბილისი.

ჯავახიშვილი, ივ. (1967). *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი 1, დემოგრაფიული ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები,* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება".

ჯავახიშვილი, ივ. (1974). *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), წიგნი II,* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება".

Акты. (1868). *собранные Кавказской археографической комиссией: Том II.* Тифлис.

Такаишвили, Е. (1915). Археологические экскурсии, Разыскания и заметки, Вып. V. Тифлис

REFERENCES

akhlouri, d. (2006). *akhalgoris istoria [History of Akhalgori],* Tbilisi: "Universal".

akhlouri, d. (2021). *ksnis kheobis istoria [History of the Ksani Valley].* II, Tbilisi: ,,Saari".

akhuashvili, l. (2005). kartuli gvar-sakhelebi [Georgian surnames and names], Vol. l, Tbilisi: publihing house, "Meskheti".

bagrationi, ioane.(1986). *Kartl-kaxetis agwera [The description of Kartl-Kakheti],* teksti gamosacemad moamzades, gamokvleva da sadzieblebi daurtes tina enukidzem da guram bedoshvilma [The text was prepared for publication, research and references were added by Tina Enukidze and Guram Bedoshvili]. Tbilisi: "Metsniereba".

bat'onishvili vakhusht'i. (1973). *aghtsera sameposa sakartvelosa [Description of the Kingdom of Georgia].* kartlis tskhovreba [Georgian chronicles]. IV. teksti dadgenili kvela dziritadi khelnaweris mixedvit s. kaukhchishvilis mier [The text is established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili]. Tbilisi: Metsniereba.

gvritishvili, d. (1955). *feodaluri saqartvelos socialuri urtiertobis istoriidan (qartlis satavadoebi) [From the history of social relations of feudal Georgia (Kartli principalities)].* Tbilisi: „Sakhelgami".

gvitishvili, l. (1997). *ksnis kheobis soplebis istoria [History of the Villages of the ksani valley],* sakartvelos sakhelmtsipo muzeumis moambe [bulletin of the State museum of Georgia], Xll, tbilisi.

goris istoriul-etnograpiuli muzeumi (gsiem) [gori historical-ethnographical museum]. (1956). *Kofili ksnis saeristavos mosakhleobis agwera 1804 w. [Population census of former Ksani Saeristavo in 1804]. №7486.*

takaishvili, e. (1951). *ksnis saeristavos statistikuri agweriloba (kssa) [Statistical description of Ksani Saeristavo (SDKS)],* stalinis sakhelohis tbilisis sakhelmwifo universitetis shromebi [Proceedings of Tbilisi State University named after Stalin], 45, Tbilisi.

kvachantiradze, k. (2017). *kartuli da kartul ebrauli gvar-sakhelebi [Georgian and Georgian-hebrew surnames],* Tbilisi: "Meridian".

korinta (kse). (1980). kartuli sabchota entsiklopedia [Georgian Soviet Encyclopedia]. 5. Tbilisi.

maisuradze, il. (1990). *kartul gvar-sakhelebi (saleksikono bibliograpiuli masalebi) [Georgian surnames and names (lexicon- bibliographic materials],* Tbilisi: sakinformkion.

meskhia, sh. (1954). *"dzegli eristavta" (qsnis eristavta sagvareulo matiane) ["Dzegli Eristavta" (genealogical record of the Eristavs of Ksani)].* teqsti gamosca, gamokvleva, leqsikoni da sadzeiebeli daurto shota meskhiam, krebulshi: masalebi saqartvelosa da kavkasiis istoriisatvis [The text was published, research, dictionary and search index were added by Shota Meskhia, in the collection: Materials for the history of Georgia and the Caucasus]. nakveti 30 [plot 30]. Tbilisi.

sakartvelos mosakhleobis... [The population of Georgia...] (2003). *2002 wlis pirveli erovnuli sakoveltao agweris dziritadi shedegebi (sakartvelos soflebis mosakhleoba) [The main results of the first national general census of 2002 (Population of the villages of Georgia)], II,* Tbilisi.

totals of the census of Georgia in 1923. (1926). sruliad sakartvelos 1923 tslis sasoplo-sameurneo aghtseris jamebi, natsili ll, demograpia, nakveti I [totals of agricultural census of whole georgia in 1923. part ll, demography, plot l]. tbilisi.

national statistical service of Georgia. (2020). *mosakhleobis sruliad sakavshiro 1939, 1959, 1970, 1979 da 1989 aghtserebis shedegebi samkhret osetis avtonomiur olkshi [the census results of the whole unity of population in 1939, 1959, 1970, 1979 and 1970 years, in south ossetia autonomous district].* sakartvelos statistikis erovnuli samsakhuri [national statistical service of georgia], 2020.

seasca, f. 254, ins. 1, case 367. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 1, saqme 367 [national archives of georgia, historikal central archive, fund 254, ins. 1, case 367].*

seasca, f. 254, ins. 1, case 689. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 1, saqme 689 [national archives of georgia, historikal central archive, fund 254, ins. 1, case 689].*

seasca, f. 254, ins. 1, case 1247. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 1, saqme 1247 [national archives of georgia, historikal central archive, fund 254, ins. 1, case 689].*

seasca, f. 254, ins. 1, case 2038. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 1, saqme 2038 [national archives of georgia, historikal central archive, fund 254, ins. 1, case 689].*

seasca, f. 254, Ins. 2, Case 252. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 252 [national archives of georgia, historikal central archive, fund 254, Ins. 2, case 252].*

seasca, f. 254, ins. 2, case 234. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 234 [national archives of georgia, historikal central archive, fund 254, ins. 2, case 254].*

seasca, f. 254, ins. 2, case 238. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 238 [National archives of georgia, historikal central archive, fund 254, ins. 2, case 255].*

seasca, f. 254, ins. 3, case 1806. *national archives of georgia, historikal central archive, fund 254, ins. 3, case 1806.*

live of kartli. (1955). teqsti dadgenili yvela dziritadi khelnatseris mikhedvit simon kaukhchishvilis mier [text established according to all the main manuscripts by kaukhchishvili], vol. 1. tbilisi.

kenkadze, v. (2016). *ksnis eristavebis sakartvelo ["Georgia of Ksani Eristavi"].* Tbilisi: “Artanuji”.

kartuli samartlis dzeglebi [Monuments of Georgian Law]. (1965). *saerto sakanonmdeblo dzeglebi [General legislative monuments] (X-XIX), II,* tekstebi gamosca, shenishvnebi da sadzieblebi daurto prof. i. dolidzem [Prof. I. Dolidze added notes and search results to the texts]. tbilisi.

kartuli samartlis dzeglebi [Monuments of Georgian law]. (1970). *Saeklesio sakanonmdeblo dzeglebi [Ecclesiastical legislative monuments] (XI-XIX), III,* tekstebi gamosca, shenishvnebi da sadzieblebi daurto prof. i.dolidzem [Prof. I. Dolidze added notes and published texts]. tbilisi.

shida kartli. (2008). *akhalgoris municipalitetis arqiteqturuli memkvidreoba [architectural heritage of akhalgori municipality], IV,* cira dadianidzis redakciit [edited by tsira dadianidze]. tbilisi.

shoshiashvili, n. (1980). *Lapidaruli tsartserebi, I, aghmosavlet da samkhret sakartvelo (V-X სს.) [Lapidary inscriptions, I, Eastern and Southern Georgia (V-X centuries)],* sheadgina da gamosacemad moamzada n. shoshiashvilma [compiled and prepared for publication by N. Shoshiashvili], Tbilisi.

ksnuri mtis gutani [plow of the ksnuri mountain], "enimki moambe", Vol. V-Vl, tbilisi.

khutsishvili, s. (1973). gaxseneba [remembrance], "communist path ", №117, Tbilisi.

javakhishvili, Iv. (1967). *sakartvelos ekonomiuri istoriis dzeglebi [Monuments of economic history of Georgia], 1, demograpiuli dzeglebi [Demographic monuments] XVIII.* Tbilisi: Metsniereba

javakhishvili, Iv. (1974). *sakartvelos ekonomiuri istoriis dzeglebi [monuments of economic history of georgia], (XIII-XIX), II.* tbilisi: Metsniereba.

акты. (1868). *собранные Кавказской археографической комиссией: Том II.[collected by the Caucasian Archaeographic Commission. Vol.II]* Тифлис. Tbilisi.

Такаишвили, Е. (1915). Археологические экскурсии, Разыскания и заметки, Вып. V. Тифлис